Შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N35030308/19/16/დ-1

2016 წლის 7 ნოემბრის N35030308/19/16/დ ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი „06“ „04“ „2017“ წ.

ერთი მხრივ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, თამაზ მოდებაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ ბოლქვაძის სახით (შემგომში წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ან სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის/ფიზიკური პირებისათვის სპეცდაფინანსების საჭიროების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 22 იანვრის N01–15/ო ბრძანების მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიმწოდებლის“ 2016 წლის 28 ოქტომბრის N13/856 და 2017 წლის 30 მარტის N13/261 წერილების საფუძველზე, მხარეთა შორის 2016 წლის 7 ნოემბერს გაფორმებული N35030308/19/16/დ ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) მე–8 მუხლის გათვალისწინებით, ვთანხმდებით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე და ამ მიზნით:

1. ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 113 831.18 (ას ცამეტი ათას რვაასოცდათერთმეტი ლარი და 18 თეთრი) ლარს“.

2. ხელშეკრულების N1 დანართი შეიცვალოს წინამდებარე შეთანხმების დანართით.

3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომელთაც არ შეხებია შეთანხმება, უცვლელი რჩება.

4. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. შეთანხმება მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

7. შეთანხმების ორი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი _ „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“
მისამართი: ქ.თბილისი, ჯავახიშვილის №51
ს/ს ლიბერთი ბანკი, ს/კ№236035517
ა/ა №GE86LB0113112241617000

ნუგზარ ბოლქვაძე
დირექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

კ. ჩხარტიშვილი

მ. გურაბანიძე

ა. ვასაძე

დანართი N1

N	მუნიციპალიტეტი	თანხა (ლარი)
1	თიანეთი	6499.07
2	ამბროლაური	13640.19
3	ცაგერი	23500
4	ბაკურიანი	6000
5	წალკა	25000
6	თეთრიწყარო	13477.57
7	ონი	16714.35
8	ყაზბეგი	9000
9	ჯამი:	113831.18 ლარი

„შემსყიდველი“

_____

თამაზ მოდებაძე
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

_____

ნუგზარ ბოლქვაძე
დირექტორი